საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110, თბილისი, მმ. ზუბალაშვილების ქ. №32. ტელ: (995 32) 2 990164, 2 996546 ფაქსი: (995 32) 2 990164
ელ-ფოსტა: info@supremecourt.ge www.supremecourt.ge

30.08.2019 N პ-1141-19

„ფაქტ-მეტრის“ მთავარ რედაქტორს
ბატონ დავით გამისონიას

ბატონო დავით,

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2019 წლის 26 აგვისტოს შემოსული თქვენი განცხადების (რეგისტრაციის ნომერი პ-1141-19) პასუხად გეგზავნებათ ინფორმაცია საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2016-2018 წლებსა და 2019 წლის 7 თვეში სისხლის სამართლის საქმეთა კოდექსის 259-ე მუხლით (ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა) განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ.

საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში:

2016 წელს სსკ-ის 259-ე მუხლით სსკ-ის 373-ე მუხლთან ერთობლიობაში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ერთ საქმეზე, სსკ-ის 259-ე მუხლით სსკ-ის 11^1-151-ე მუხლთან ერთობლიობაში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ერთ საქმეზე;

2017 წელს სსკ-ის 259-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 4 საქმეზე;

2018 წელს სსკ-ის 259-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 4 საქმეზე;

2019 წლის 7 თვეში სსკ-ის 259-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 4 საქმეზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლი (ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა) სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ცალკე გამოყოფილი არ არის. შესაბამისად, მოკლებული ვართ აღნიშნული ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას.

პატივისცემით,

ლია ყიფიანი
სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელი